



5304/3-13/22 2 13062022

5304/3-13/22

13-06-2022

საქართველოს პრემიერ-მინისტრს,

ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ბატონო ირაკლი,

ამა წლის 8 ივნისს მოგმართეთ №5174/3-13/22 წერილით, რომლითაც ახალგაზრდებისთვის, განსაკუთრებით კი - სტუდენტებისთვის ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მოგიწოდეთ შემდეგი:

ა) ერთჯერადი ღონისძიების სახით საქართველოს მთავრობამ დაუყოვნებლივ მიიღოს გადაწყვეტილება სტუდენტების სწავლის საფასურის დაფარვასთან დაკავშირებით, მით უფრო - მსგავსი გადაწყვეტილების პრეცედენტი უახლოეს წარსულში უკვე არსებობს 2020 წლის ზაფხულში მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით;

ბ) საქართველოს მთავრობამ დროულად დაიწყოს მუშაობა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ღირსეული პირობების სტუდენტური საცხოვრებლების პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ მოგვარების მიზნით.

ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის საფუძველზე, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით:

1. რა კონკრეტული ნაბიჯები იდგმება საქართველოს მთავრობის მიერ ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობისა და თვითრეალიზებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით?

2. კონკრეტულად რას გეგმავს საქართველოს მთავრობა უახლოეს პერიოდში, რათა დაეხმაროს სტუდენტებს შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით?

პარლამენტის წევრი
ანა ბუჩუკური

თ. ბუჩუკური



8314/3-122/21 2 05082021

8314/3-122/21

05-08-2021

საქართველოს გენერალურ პროკურორს
ირაკლი შოთაძეს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტითა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმეზე:

1. რა ეტაპზეა რევაზ და ფირუზ წულუკიძეების მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმე?
2. ამჟამად რა სამართლებრივი სტატუსი აქვთ დაკავებულებს?

გთხოვთ, კანონით დადგენილ ვადაში და პროცედურის დაცვით მომაწოდოთ წერილობითი ინფორმაცია.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
დავით ხაჯიშვილი



8317/3-122/21 2 05082021

8317/3-122/21

05-08-2021

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს
ოლეგ ბოლქვაძეს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტითა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გთხოვთ მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ შპს „ამბასადორ ბათუმის“ მიმართ გაცემული სამშენებლო ნებართვის, ამავე სამშენებლო ნებართვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორგანიზების და ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესახებ; (წარმოადგინეთ დოკუმენტების ასლების ელ. ვერსიები)
2. აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, უწყებრივი სანებართვო რეესტრის შესახებ; (წარმოადგინეთ დოკუმენტების ასლების ელ. ვერსიები)
3. ასევე, ინფორმაცია მშენებლობის პერიოდში ნებართვების საფუძველზე შესრულებული სამუშაოების შუალედური და საბოლოო ანგარიშებისა და სამუშაოების მიღების შესახებ. (წარმოადგინეთ დოკუმენტების ასლების ელ. ვერსიები)

გთხოვთ, კანონით დადგენილ ვადაში დაცვით მომაწოდოთ ზემოთხსენებული ინფორმაცია

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
დავით ხაჯიშვილი





8340/3-122/21 2 06082021

8340/3-122/21

06-08-2021

სპეციალური პენიტენციური სამსახური

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტითა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოგმართავთ კითხვით, შემდეგ საკითხთან დაკავშირებით:

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ცნობილი გახდა, რომ ლუკა სირაძის საქმეზე მსჯავრდებული, პოლიციის ყოფილი თანამშრომელი მარიანა ჩოლოიანი „უდოს“ კომისიის გადაწყვეტილებით, პირობით ვადამდე გათავისუფლდა.

გთხოვთ, გვაცნობოთ:

1. ინფორმაცია მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობის შესახებ;
2. საბჭოს წევრების ვინაობა;
3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თქვენს ხელთ არსებული ყველა დოკუმენტი, მათ შორის სასამართლოს გადაწყვეტილება. (ადგილობრივი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება რომელიც საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციული წესით გასაჩივრდა)
4. ასევე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში, რამდენი მსგავსი მუხლით მსჯავრდებულის მომართვა განიხილა „უდოს“ კომისიამ, რამდენი დაკმაყოფილდა და რამდენს ეთქვა უარი.

გთხოვთ, კანონით დადგენილ ვადაში და პროცედურის დაცვით მომაწოდოთ წერილობითი ინფორმაცია.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
დავით ხაჯიშვილი





11203/3-122/21 2 16112021



11203/3-122/21
16-11-2021

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს
ამირან მახუნიძეს

ბატონო ამირან,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. ბოლო მონაცემები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საშტატო ერთეულებზე დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და მათი შრომის ანაზღაურების შესახებ;
2. ბოლო მონაცემები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ (შტატგარეშე) პირთა რაოდენობისა და მათი შრომის ანაზღაურების შესახებ;
3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში დასაქმებულთა სრული რაოდენობისა და მათი სახელფასო ფონდის შესახებ.

გთხოვთ, კანონით დადგენილ ვადაში და პროცედურის დაცვით მოგვაწოდოთ წერილობითი ინფორმაცია.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
დავით ხაჯიშვილი